№ 48
ორშაბათი, 6 მარტი, 1900 წ.

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 48
ორშაბათი, 6 მარტი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

სახალხო სეირნობა
სამგელმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრ. იოს.
გოცირიძე

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ცფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშილის სახლი, № 20.
(40—140—29)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 მარტს
ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან ბ-ნ ალექსი მესხიშვილის და ქ-ნ ჩხეიძის მონაწილეობით
ქართველ ქალთა სახელოსნო სკოლის სასარგებლოთ
წარმოდგენილი იქნება
ცხოვრების გმირი
დრამა 3 მოქმედ.
დასასრულ
დივერტისმენტი
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.
ბილეთები ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, წარმოდგენის დღეს—თეატრის კასაში. (3—უ.—1)

ტფილისის სობრანიე.

შაბათს, 11 მარტს, 1900 წ. გაიმართება
კონცერტი
ქ. ფ. გურამიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ **ი. მ. მატკოვსკი** და **მ. ვ. სერბულოვი.**
ბილეთები ისყიდება მირიმანიანის სამუსიკო მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზედ. (4—65—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა
დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი —9—10 საათ.

ნ. ტ. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

ი. დ. ბიბთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი- მორიგებით.

გუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7—7^1/_2$ საათ.

ვ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(—1—წ).

ახალი ამბავი

—

⁂ ამ ჟამად ქუთაისის საგუბერნიო მთავრობა შესდგომია სოფლის მცხოვრებთა შორის სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, რისთვისაც წინადადება მიუცია სოფლის საზოგადოებათათვის, რომ სასოფლო სკოლებში სამეურნეო განყოფილებებიც დაარსდეს. ქუთაისისა და რაჭის მაზრის 10 საზოგადოებას კიდეც განუცხადებია სურვილი, კარგა დიდი ადგილი დაუთმიათ სამეურნეო განყოფილებათათვის და აგრეთვე შემწეობის მიცემაც აღუთქვამთ სკოლების ამ განყოფილებათა შესანახად.

⁂ სასულიერო საქმეთა სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია გეგმა ამიერ-კავკასიაში მიწების გამიჯვნის შესახებ. შემდეგ დავბეჭდავთ ტფილისის გუბერნიაში სად როდის მოხდება გამიჯვნა.

⁂ საზეითალო გამგეობამ სთხოვა რკინის გზის გამგეობას რომ რკინის გზით გადაყვანილ პირუტყვის სადგური ტფილისიდგან ნავთლუღში იქმნას გადატანილი, სადაც საქონლის გასასინჯათ განსაკუთრებული ბეითალი იქმნება დანიშნული.

⁂ წინადადება მიეცათ სოფლის საზოგადოებათა მამასახლისებს, რომ სრული სიები შეადგინონ სოფლებში მყოფ საქონლისა—ხარისა, ძროხისა და კამბეჩისა. ამას გარდა ყოველთვის უნდა იქმნას თავ-თავის დროზედ ჩატანილი სიებში მატება, ანუ კლება საქონლისა.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განმარტებით იმ მასწავლებელქალთა შვილები, რომელთაც 10 წელი უმსახურნიათ სამინისტროს უწყების საშუალო თუ დაბალ სასწავლებლებში, განთავისუფლებულ იქმნებიან საშუალო სასწავლებლებში სწავლის გარდასახადის შეტანისაგან.

⁂ სასამართლოს გამომძიებელი ბ-ნი ე. ა. რიბინსკი ყოფილა ქ. გორში ბორჩალოს მაზრის უფროსად ნამყოფის რ. რ. არნოლდის მიერ სამსახურში ჩადენილ დანაშაულობათა და ზემო ქ ლის საზოგადოების მამასახლისის ს. არბომშვილის საზოგადო ფულის გაფლანგვის საქმეთა გამოსაძიებლად.

ფელეტონი

—

ახალი საქმე
(სურათები სოფლის ცხოვრებიდგან)
(შემდეგი *)

III

იანვარი მიწურულია. სადღესოდ სტეპკოს ახლო-მახლო სოფლებიდგან საპატიო კაცნი ჰყავს მოწვეული თავისს სახლში სათათბიროდ. ის აზრი, ხმა, რომ ჯერაანთ სტეპკო საზოგადო, საამხანაგო სავაჭრო მაღაზიის დაარსებას აპირობსო, ელვასავით მოედო იქაურობას. ყველა თავისით სჭრიდა და ჰკერავდა. მიძინებულმა, მდორე, მიყუჩებულმა ფიქრმა სოფლელებისამ ცოტა ჩურჩუნი დაიწყო. თავისს კერძო ფარგალში გახლართულმა, ჩაკირკიტებულმა გონებამ, რომელიც სოფლად ჩვეულებრივ ათასგვარის უცნაურის ჭორებით საზრდოობს, იკვებება და ამ ჭორებისავე შემწეობით იქანცება, ხავსი ეკიდება,—ეხლა სიცოცხლის ელფერი მიიღო და ესე მოჩიტებულმა, მოღონიერებულმა გარეშემო მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ, ქვეყანაზე საკუთარის ოჯახის ზრუნვის გარდა, ყოფილა ისეთი საქმე, რომელსაც შეუძლიან სახალხო კეთილ-დღეობა, საერთო ბედნიერება გამოიწვიოს, მხოლოდ საჭიროა ერთ-ურთის დახმარება, საერთო ძალ-ღონით შებოჭვა, შეკავშირება. სტეპკოს არავითარი შრომა არ დაუზოგავს, სიტყვიერად თუ წერილობით, რათა ეს თავისი გულის ნადები, დიდის ხნის ნაფიქრი აზრი გაევრცელებინა სოფლის მკვიდრთა შორის. დაიარებოდა სოფლითი სოფლად და სადაც ეგულებოდა, რომ იმის სიტყვას გასავალი ექმნებოდა, გულ-დასმით ურჩევდა ისინიც, ჩარეულიყვნენ ამ მათთვის საკეთილო საქმეში და საერთო ძალ-ღონით ამხედრებულიყვნენ მტერთა მოსაგერებლად, გულ-გასაგმირად.

— წინად, თუ ჩვენი მამა-პაპანი ხმალ-ხანჯლით ეუმობოდნენ გარეშე მტერს, დაიწყებდა სტეპკო მომაღლო, სასიმღერო კილოთი, ეხლა გარეშე მტერი დამარცხებულია, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ შინაური მტრები გაგვიჩნდნენ, რომელნიც დღისით-მზისით ტყავს გვაძრობენ, ჩვენს მონაგარს ხელიდგან გვაცლიან, გვალეჯავენ, ჩალის ფასად ინარჩუნებენ და ჩვენ კი ხმის ამოუღებლად ქედი მოგვიხრია მათ ძლევამოსილების წინაშე და კისერზედ წაგვისვამ, წამოვისკუპებია და ყმებსავით ვემსახურებით. რათა, ძმანო, ჩვენის სიმდიდრით მტაცებელნი რად უნდა ვახაროთ, ჩვენი ქონება ჩვენსავე ჯიბეში უნდა მიდიოდეს, ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდესო, ნათქვამია—აი შევადგინოთ ამხანაგობა, დავაარსოთ საერთო სავაჭრო მაღაზია—„კავშირი“, სადაც ყოველგვარი სავაჭრო საქონელი უნდა იყიდებოდეს ნაკლებ ფასად, სადაც მოტყუებას ადგილი არ ექნება—იქვე მიიტანს ჩვენი ხალხი თავისს ნაწარმოებს პირიანად გასასყიდად და სხვ. სტეპკოს დამჯდარს, რწმენით გამსჭვალულს, დაბეჯითებულს სიტყვას, თუ გლეხ-კაცობის მომეტებულ ნაწილზედ გავლენა არა ჰქონდა—„ეგ ძამო, თავისათვის ცდილობს, თორემ ეხლა მაგას ჩვენი გულ-ყრა დაჰქნია, ემაგრე გულზე ვეხახვებით,“ სოფლის მკვიდრთა დანარჩენი ნაწილი, სამღვდელოება, მასწავლებელნი თანხმობით მიეგებნენ სტეპკოს წინადადებას და დახმარებაც აღუთქვეს. შინაურ კრებაზედ დასწრების პირობაც მისცეს, სადაც უნდა გამორკვეულიყო, რა გვარად მოეხერხებინათ ეს ფრიად სასიკეთო საქმე და მოთავეებიც ამოერჩიათ, ამ აზრის სისრულეში მოსაყვანად.

კარგა მოზრდილ დარბაზში თავი მოუყრიათ ახლო მახლო სოფლების მკვიდრთა ნაღებს, მარილს ამა სოფლისას. ფანჯრებთან რიგზე ჩაწკრივებული ჩალის სკამები და პირდაპირ კედელთან სიგძის სიგძობამდის ჩაყოლებული ხის უბრალო გძელი სკამები გაჭედილია მეინახეთაგან. მხიარულად მოგიზგიზე ბუხრის გვერდით სუფრა-გადაფარებული მაგიდა სდგას, რომელიც თავამდის წიგნებით არის თავმობმული. არც დარბაზის შუაგული ადგილია მოცლილი. იქაც დამსწრეთაგანნი ერთმანეთს ფეხს გაჰკრებით უქცევენ, წყვილ-წყვილად დაიარებიან და მასლაათობენ. ყველას სახეზედ და თვალების გამომეტყველებაში ემცნეოდათ, რომ სადღეისოდ რაღაც არა ჩვეულებრივს ფიქრსა და ზრუნვას მიუცავს მათი არსება. სოფელ X-ს მასწავლებელი გარსევანი და სტეპკო ერთად დადიან და გაცხარებით ლაპარაკობენ დაბალის ხმით.

ზომიერს აგებულობის, ოც-დათხუთმეტ წელს მიღწეული, გამხდარ სახეზედ ქერა წვერ-ულვაშ გამოშვებული გარსევანი დღეს დიდ' სავონებელში არის ჩავარდნილი. გული ეთანაღრება, ყოყმანობს, „ვაი თუ გროშობით, შავის დღით მონაგრებული სამოციოდე თუმანი დამეკარგოს, გამიწყალდეს, ამხანაგობის წევრად რომ გავხდეო, „მერე ჩემ ცოლშვილს რაღა ეშველება, ვისი სინაბარა-ლა უნდა დავრჩეთო. განა უწვალებლადა აქვს მონაგრებული გარსევანს ეს ფული, განა ოფლი არ მოუწმენდია?!. ჯერ მასწავლებლის თვეში ორი თუმანი რა არის და მერე ამ ფულიდგან კიდევ

---

*) იხ. „ივერია“ № 45.

⁂ გუშინ, 5 მარტს, ქალაქ გუმბრიში გაემგზავრნენ სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი ა. ი. ივანოვი და გამომძიებელი ე. ა. რიბინსკი მურსაყულოვის ყაჩაღთა ბრბოსაგან ჩადენილ საქმეთა გამოსაძიებლად.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა ტფილისის საგუბერნიო მთავრობას, რომ დაბა ბორჯომში იქმნას დაწესებული ერთის ბეითალის თანამდებობა, რომლის შესანახი ხარჯი გადადებულ უნდა იყოს ბორჯომის საკლავ-საქონლის ბაჟის შემოსავლიდგანაო.

⁂ სამს მარტს სამოსამართლო პალატაში გაირჩა კერძო საჩივარი კნ. ქეთევან ჯამბაკურიან-ორბელიანის ანდერძის აღმასრულებლის ს. ფერნაძესი ტფილისის ოლქის სასამართლოს იმ დადგენილებაზედ, რომლითაც, მემკვიდრეთა თხოვნის თანახმად, იგი გადაყენებულ იქმნა ანდერძის აღმასრულებლის თანამდებობიდგან. სამოსამართლო პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს დადგენილება და უყურადღებოდ დასტოვა მემკვიდრეთა თხოვნა.

⁂ ამას წინად „ივერია“-ში უკვე გვქონდა მოხსენებული მოკლედ ამბავი საგარაკო მატარებლებით მიმოსვლის გარდასახადის შემცირების შესახებ. ეხლა როგორც პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, დაწვრილებითი ცნობები შემდეგია: ეს გარდასახადი შემოღებულ იქმნება ამ წლის პირველ აპრილიდგან რუსეთის სახელმწიფო რკინის გზებზედ 56 ქალაქის ახლო-მახლო ადგილებში მიმოსვლისათვის; მათ შორის ამიერ კავკასიის შემდეგი ქალაქებიც არიან მოხსენებული: ბათუმი, ბაქო, ქუთაისი და ტფილისი. აქამდის სასახალხო მატარებლის მე-3-კლასით მიმოსვლისათვის 1 ვერსტზედ ახდევინებდნენ 1 კაპ. და ეხლა 0,9 კაპ.; სრულიად მოსპობილია საბონიმენტო და იქეთ-აქეთი წასვლა-წამოსვლის ბილეთები. სამივე კლასის ბილეთები მიეცემა წლობით, ერთის სეზონით (4 თვით) და თვეობით (ერთის თვით). წლიური და სასეზონო ბილეთები მიეცემა მსურველთ ასე, რომ ეს ბილეთები მყიდველთა ფოტოგრაფიულ სურათებზედ იქმნება დაკრული სახელისა და გვარის ზედ წარწერით, რომ პატრონებს არ შეეძლოთ სხვას გადასცენ ბილეთები.

⁂ შავის ზღვის გუბერნიაში რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებულთათვის 6,000 დესეტინა მიწა უკვე თურმე მომზადებულ-განაწილებული.

⁂ პარასკევს, 3 მარტს, „ხლებნაია გორკაში“ ქ-ნ გ-ს შეცდომით წყლის მაგივრად ერთი ჭიქა სადეზინფექციოდ მომზადებული კარბოლოვის სიმჟავე დაულევია. გ. მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ ქველ-მოქმედთა ყურადღებას მიაქცევთ სიღარიბისაგან მეტად შევიწროებულ ოჯახს—ქვრივის ნატალია მაისურაძისას, რომელსაც ხუთი პატარა ობოლი ჰყავს სარჩენი. საბრალო ქვრივი მით უფრო შევიწროებული, რომ ბავშვები ჯერ იმდენად პატარები არიან (უფროსი მათგანი 11 წლისა და უმცროსი 4 თვისა), რომ შრომა არ შეუძლიანთ. მსურველთ ამ ადრესით შეუძლიანთ შეწირულების გაგზავნა: 1 полиц. участокъ, Святополкъ-Мирская улица, домъ Капанадзе, № 5 (Хлѣбная Горка).

⁂ როგორც ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო მაჩხაანის გარდა, ამ ჟამად უკვე მოსპობილია საქონლის ჭირი, რის გამოც ამ საქმისათვის გამართული სადარაჯოები უკვე გაუუქმებიათ.

⁂ სადგურ გორიდგან იწერებიან, რომ იქ 3 მარტს სახალხო მატარებლის მესამე კლასის ვაგონიდგან გადმოვარდნილა თავ. სიმონ მიქელაძე, რომელსაც მარცხენა ფეხი მოუტეხია.

წერილი ლეჩხუმიდან

ლეჩხუმის მაზრა შეადგენს აღმოსავლეთ ნაწილს ქუთაისის გუბერნიისას. ამ მაზრის ადმინისტრატიული შუაგული ცაგერი მოშორებულია ქ. ქუთაისს 80 ვერსტით. მდებარეობა ლეჩხუმისა მთაგორიანია. მკვიდრთა რიცხვი სვანეთს გარდა (სვანეთი ლეჩხუმის აღმოსავლეთ ნაწილს შეადგენს, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 15,000-სამდეა) 50,000-ზე მეტია. ამ მაზრას შუაზე ჰკვეთს მდინარე ცხენის-წყალი, რომელიც ლაშხეთის (სვანეთი) მთიდგან გამოდის და სამტრედიის ახლო უერთდება რიონს. ადგილობრივ მკვიდრთა ქონებრივ სახსარს შეადგენს პურის, სიმინდის და ღვინის მოსავალი. ღვინით შესანიშნავია შემდეგი სოფლები: ოყურეში, ჩხუტელი, ორბელი და ჟოშხა. პურის მოსავლით უფრო განთქმულია ცაგერის ჭალები, რომელიც გადაჭიმულია ცხენის-წყლის მარცხენა ნაპირებზე. გვალვის დროს-კი ეს ჭალები ისე გადახმება ხოლმე, რომ ჭირნახული სულ ამოიწვის დედამიწიდგან და სოფლები დიდს გაჭირვებაში ვარდება. ადვილად შეიძლება აიცდინონ თავიდგან ცაგერლებმა ეს უბედურება, თუ რომ ცხენის-წყლიდგან არხს გაიყვანენ. საკვირველია, რატომ დღემდის არც ადგილობრივ ადმინისტრაციას და არც მკვიდრთ აზრად არ მოუვიდათ ერთხელ და სამუდამოდ გამოიყვანონ არხით წყალი. ლეჩხუმის მაზრის უფროსად ყოფილი ბ-ნი ალშიბაია 1891—1892 წ. შეუდგა არხის გაყვანას, გაათხრევინა მიწა მურის ხიდს დაბლა (მურის ხიდი ჰქვიან სოფ. ცაგერის თავში მდ. ცხენის-წყალზე გაკეთებულ ხიდს) და წყალმა ადვილად იწყო დენა, მაგრამ მას შემდეგ საქმე დარჩა უყურადღებოდ, მუშაობა აღარავინ განაგრძო და თხრილი ისევ ამოივსო მიწითა და ქვით.

რაც შეეხება სწავლა-განათლების საქმეს, ლეჩხუმის მაზრა ამ მხრივ საზოგადოდ ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრებზედ დაბლა სდგას. სამოცი ათასს მცხოვრებს არა აქვს არც სამოქალაქო და არც სასულიერო სასწავლებელი, გარდა სამი თუ ოთხი სამინისტრო სკოლებისა, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც დააარსა მთავრობამ. ორი მათგანი ორკლასიანია—ერთი დაბა ლაილაშში და მეორე ცაგერში. ამ უკანასკნელში, სადაც სამაზრო დაწესებულებანია, ამ 3—4 წლის წინად დაარსდა სკოლა. სულ არაობას ცალ-უღელა ხარი სჯობიაო, ნათქვამია, და ჩვენც, რასაკვირველია, ავი იყო თუ კარგი ეს სკოლა, მაინც წარმატების ნიშნად მიგვაჩნდა, მაგრამ ახალმა წელმა ახალი უბედურება გვაწვია: ამ რამდენიმე კვირის წინად ეს სკოლა გადაგვებუგა. გვეღირსება-კი იმის მაგიერ სხვა, ანუ როდის, ეს ღმერთმა უწყის.

ამ საერთო გონებისა და ქონების სიდატაკესთან ერთად, არ შემიძლიან ერთს ფრიად სასიამოვნო მოვლენას არ მივაქციო თქვენი ყურადღება. მე მოგახსენებთ სვანეთისა და ლეჩხუმის ტყეების დამუშავების შესახებ. აწ უკვე განსვენებული პროფესორი ილია ოქრომჭედლიშვილი 1891 წ. შეეკრა პირობით თავადს მინგრელსკის ოცის წლით ამ ტყეების დამუშავების შესახებ და მუშაობას შეუდგა. აუარებელი ხე-ტყე გააქვს მდ. ცხენის-წყლით სამტრედიამდის, სადაც ხე-ტყის ქარხანა ააგო. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ოქრომჭედლიშვილი გარდაიცვალა (1896 წ.), მის დაწყებულ საქმეს განაგრძობს მისივე შვილი და ბოლოს წარმოება უფრო მატულობს. ფულმა გამოარკვა გლეხები კარჩაკეტილობიდგან, გაასცნო თვისი გემო და თუ ეს სამუშევარი არ ჰყოფნის დღეს ბევრს, ზოგნი სულ სტოვებენ სახლ-კარს და მიდიან აქა-იქ ქალაქებში სამუშაოდ და ზოგნი ვაჭრობასაც ჰკიდებენ ხელს. ამნაირად, ფულმა და წარმოებამ, ამ კარჩაკეტილობისა და პატრიარქალურის ცხოვრების მტერმა, ლეჩხუმშიაც შეჰყო თავი და უქადის იქაურ მკვიდრთ საღათას ძილისაგან გამოღვიძებას. ადრე თუ გვიან გლეხებმა, შეიძლება, გაიღვიძონ, მაგრამ ადგილობრივი ინტელიგენცია რას შვრებაო, იქნება იკითხოთ. სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ინტელიგენტების მხრივ ძლიერ ღარიბია ლეჩხუმი. სხვა ყველა ქალაქებში და თითქმის სოფლებშიაც-კი ადგილობრივი ინტელიგენტები აკეთებენ რასმეს, ან ჰყვირიან მაინც—ვაკეთებთო, აქ-კი საზოგადო ძილში აქაურ თავად-აზნაურობას ინტელიგენტები არ ჩამორჩებიან. საკვირველია, რომ აქაურ ინტელიგენციას აზრადაც არ მოსდის რამე საზოგადო საქმეს მოჰკიდოს ხელი. განა ცოტა რამ არის გასაკეთებელი? აი, თუგინდ სამკითხველოს დაარსება. თუკი გურიასა და იმერეთის სოფლებში თითქმის ყველა სოფელში შეიძლეს წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოების გახსნა, რატომ მთელს ლეჩხუმის მაზრაში ერთის სამკითხველოს გახსნაც-კი შეუძლებელია? სხვისი სარგებლობა თუ არ უნდათ, ეს ვაჟბატონები თავიანთ გონების სალაროს მაინც შეჰმატებდნენ რასმეს, რაც ძლიერ საჭიროა ისეთ მიყრუებულ კუთხეში, როგორიც ლეჩხუმია.

ადგილობრივი ინტელიგენცია, თუკი შეიძლება ვსთქვათ, რომ ის არსებობს ლეჩხუმში, მხოლოდ ბანქოს თამაშში ატარებს დროს და ისიც არათუ საზოგადო დარბაზში—კლუბში, რომელიც აქ არ არსებობს, არამედ კერძო ოჯახებში.

გულშემატკივარი

დაბა სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ხიდის-თავი, (გურია). ეს ათი წელიწადი იქნება, რაც მეაბრეშუმეობამ მაგრად გაიდგა აქ ფეხი, რადგან კარგი სარგებლობა მოაქვს. ხვნა-თესვას უკანასკნელი ადგილი უჭირავს აქ მეურნეობაში, რადგან სახნავ-სათესი ადგილები ძლიერ ცოტაა. ამიტომ აქაურები იძულებულნი არიან სიმინდი იყიდონ გარეშე სოფლებში. აქაურ ხალხს კარგა ხანია შეუგნია, თუ რა არის სწავლა-განათლება, ამიტომ ბავშვი, შეიქნება თუ არა 6—7 წლისა, მაშინვე სკოლაში აძლევენ რომ „რამე ისწავლოს და კაცი გამოვიდესო“. ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, სადაც სამი მასწავლებელი ძლივს უთავდება სწავლებას, რადგანაც მოსწავლეთა რიცხვი აუარებელია. სამრევლო სკოლაც არსებობს, აგერ ათი-თორმეტი წელიწადია, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში უკან-უკან მიდის, და შეიძლება სულაც ჩაქრეს. წინად თუ 60 ბავშვი სწავლობდა იქ, ეხლა ოცდა-ათამდე ძლივს იქნება. აქ არის სამკითხველო, რომელიც ინახება აქაური კაჭრებისა და ინტელიგენციის ხარჯით. სამკითხველოს მოსდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი და რუსული: „Жизнь“-ი, „Міръ Божій“‘ „Нива“, „Сѣверн. Курьеръ“, Бирж. Вѣд.“ და „Черноморскій Вѣстникъ“. ჟურნალ-გაზეთებით თუმცა საკმაოდ მდიდარია სამკითხველო, მაგრამ სამაგიეროდ წიგნებითაა ღარიბი, თუმცა ამ ნაკლსაც ბოლო მალე მოეღება. ყველამ ვიცით, თუ რა უკანონობას სჩადიან საზოგადოდ სოფლის მწერლები, მამასახლისები და მათგან რამდენ გაჭირვებას ითმენენ სოფლის მცხოვრებნი. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მამასახლისებად ისეთებს ირჩევენ,

---

შავის დღისათვის ცოტაოდენის წვლილის გადადება განა ადვილია?! მაგრამ გარსევანი ისეთის ხელმოჭერილის, მომთმენი ხასიათის კაცი იყო, რომ მთელი კვირა ცალიერ პურსა და ჩაიზედ გაუტარებია, ოღონდ ავადმყოფობაა, სიკვდილ-სიცოცხლე—იმ დროს სხვათა თვალ ხელში შემყურე არ ყოფილიყო. ყოველგვარ სიამოვნება-ლხენას იკლებდა, ერთხელ აკვიატებულ აზრსკი არა ჰღალატობდა, გროშს გროშზედ აკოწიწებდა. ამიტომ იყო, რომ გარსევანს ძალიან უძნელდებოდა საბოლოოდ გადაეწყვიტა, როგორ ყოფილიყო, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, რის წვალებით სტეპკომ გარსევანს პირი დააკვრევინა. „შენს ფულებს არაფერი ხიფათი არ მოელის ჩვენს ამხანაგობაში, თუ ბანკში თუმანზე ექვს გროშს იღებ, აქ თუმანზე ორი შაური გერგება, აბა რაზე აცდენ ტყუილად ბანკში ფულებსაო“...

თუ გარსევანი ყოყმანებდა და სახეზედ ვარაყანის ფერსა სცემდა, გული უჩქროლავდა, უფანცქალებდა, ვიდრე ჰოს გამოაცხადებდა, მეორე, დიდის შეძლების მქონე, სიმდიდრით მთელს მაზრაში განთქმული ალუღიანთ გეგენა ურყევლად ჩაეწერა ამხანაგად და რამდენისამე ათის თუმნის ჩამოსვლის სურვილი განაცხადა. ვინც გეგენას დაახლოვებით იცნობდა, უკვირდა ეს მისი ესოდენი ხელ-გაშლილობა, ბილანობა, რადგანაც სხვა შემთხვევაში ხელის ცახცახით თუ გაიმეტებდა ორიოდე გროშს, თორემ რომ მოგეკლათ, მეტს არ გადააცილებდა, თუნდაც იმის წინ ჯვარზედ ეცმულიყავით. ფულის გასტუმრებაში ხომ ერთი სატანჯველი იყო იმასთან საქმის დაჭერა. გაჭირვებული, ხელ მოკლე კაცი იმისაგან ხელს ვერ გაიმართავდა, თუ არა პეშქიანი, შეძლებული მეოჯახე, რომელსაც გასასყიდი გააჩნდა რამე. აი ამისთანა მაგარმა, ქვაწვია კაცმა, რომელზედაც ამბობდნენ „ზეთის ჩამოსდის თავპირზე, მოლევის ქვად იქცევა და ფულს არ გაიმეტებსო“, პირველსავე სტეპკოს წინადადებაზედ თანხმობა გამოაცხადა. სხვისა სახლში პურადი, ენა-წყლიანი მობაასე ხო იყო გეგენა, თუ შინ ძვირობდა. ისეთი მარილიანი ლაპარაკი იცოდა სხვაგან გეგენამ, რომ გინდოდათ ყური გეგდოთ. იქნება იმის ამ სიტყვის პოლორჭიკობას რაიმე კავშირი ჰქონდეს დათანხმებასთან, რადგანაც გეგენა იმან უფრო მოხიბლა, რომ სტეპკომ მჭევრმეტყველურად, ალტაცებით თვალწინ დაუხატა ამ კუთხის გამოფხიზლება, ამ ამხანაგობის წყალობით აყვავება, ათას გვარ საზოგადო საქმის აღორძინება. „ეხლა მოვხუცდი, ფიქრობდა თავისს გულში გეგენა, საჭიროა ცოტაოდენი სულისათვისაც ვიზრუნო რამე, თორემ არც ეგრე ხორცის გალაღება ვარგაო“. თანხმობის გამოცხადებასთან ისიც-კი დაატანა, სანამ ჩემი ფული თქვენ ხელში იქმნება, ორი შაური მაძლიეო, სხვანი თვეში თუმანზე ორ აბაზს, ათ შაურს იძლევიანო.

ამ კრებაზედვე უსათუოდ შეამჩნევდით ფერშალს სამსონ გაბერტიკიას, ხალხის მიერ „დოხტურად“ სახელწოდებულს, რომელიც ეს მესამე წელიწადია საქართველოს შორეული კუთხიდგან გადმოსახლებულიყო აქ იმ იმედით, რომ ამ ხალხში იმის ხელობას გასავალი ექმნებოდა, რადგანაც ამ კურთხეულ მაზრაში ხალხი უმკურნალოდ ბუზებსავით იხოცებოდნენ. შუათანა ტანის, კოლოტივით დამრგვალებული, გრძელის, აბურძგნულის მოწითალო—ბუზური თმა-წვერ ულვაშით, ჩასუქებულის ლოყებით სამსონი უშნო შესახედაობისა იყო. იმისი ბაჯბაჯა სიარულიც რომ ზედ დაურთოთ, სამსონის ნამდვილ სურათს მიიღებთ. ყველა ამის მიუხედავათ ეხლა სამსონი ფულიან კაცად ითვლება, რადგანაც ღვთის ანაბარა მიტოვებული ხალხი მისგან ეძიებს განკურნებას და მრავალი მუშტარიც ეხვევა. ნიადაგ დღე სოფლითი-სოფლად დაქანობს ფოშტის ცხენივით და „მინალთუნებს“ იხარუნებს ჯიბეში. რადგანაც სამსონს რამდენიმე ავადმყოფი მოერჩინა ციებ-ცხელებისაგან, ხალხმა „დოხტურად“ მონათლა და ამან უფრო სახელი გაუთქვა მაზრაში. დილა ადრიანად უეჭველად იმის ეზოში ოთხი-ხუთი ცხენი უნდა ბმულიყო. „შენი ჭირიმე, „დოხტური“ სამსონი მალე გამოიღვიძებს, ცოლი გამიხდა ავად. ცხენი მოვართვი და უნდა წამობრძანდესო“, ევედრებოდა ავადმყოფის პატრონი სამსონის ცოლს დამიანეს, რომელიც თითქოს ქმრის გამოსაჯავრებლად ციდამ მოწყვეტილ ვარსკვლავს, გაფურჩქნულ მაისის ვარდს ჰგავდა. ესე და ამგვარი პატივი ჰქონდა სამსონს უბირის ხალხის თვალში, თუმცა ყველამ იცოდა, რომ სამსონი უგასამრჯელოდ ფეხს არ მოიცვლიდა ხოლმე ადგილიდგან. შეგნებულს ხალხში სამსონმა მაშინ უფრო დაჰკარგა ფასი, როდესაც ექვს აბაზიანი წამალი მოიგონა. ერთ პატარა შუშა წყალში რამდენსამე გრანს ხინას გაურევდა და ექვს-ექვსი აბაზი გადმოდიოდა ულევლად სამსონის ჯიბის გასასუქებლად.

ე—ლი

(შემდეგი იქნება)

რომელთაც ცხოვრების საგნად მხოლოდ საკუთარი სარგებლობა გაუხდიათ. ამას წინათ ჩვენს სოფელში ზოგიერთებმა ლაპარაკი აღძრეს, რომ შეგნებული კაცები ავირჩიოთ მამასახლისად და ჯამაგირი ვაძლიოთო, მაგრამ საქმე ხმის უმრავლესობით გადაწყდა და მამასახლისად ისეთი კაცი აირჩიეს, რომელმაც ხელის მოწერაც ძლივს იცის ქართულად. აშკარაა, სადაც ასეთი მამასახლისებია, თუ რა გავლენა ექნებათ მათზე და საზოგადოთ ხალხზედაც „მოსე მწერლებს". ეს რამდენიმე დღეა მას შემდეგ, რაც მამასახლისთან მისულა გლეხი მ. შ—ია და თავისის შვილისთვის (რომელიც სასწავლებელში სწავლობს) ბილეთი უთხოვნია, მაგრამ მამასახლისს უპასუხნია: „სანამ იმ თუმანს არ გადიხდი, რომელსაც გ—მე გიჩივა, მანამდი ბილეთს არ მოგცემო". შ—იას უთქვამს: „ეხლა გადასახდის თავი არა მაქვს, რადგანაც ცოლ-შვილი ავადმყოფობით მეხოცება, გადახდით გადვიხდი, ოღონდ ცოტახანს მოიცადოსო". მაგრამ მამასახლის-მწერალს გაჭირვება არ შეუწყნარებიათ? და ხელ-ცარიელი დაბრუნებულა შინ მ. შ—ია. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, თუ რამდენად მართალი იყო ეს ამბავი და ამიტომ წავედი მამასახლისთან; ჩემთან წამოვიდა სამი-ოთხიოდე კაცი. მამასახლისი არ დაგვიხვდა კანცელარიაში; მის მაგივრად მწერალი განაგებდა საქმეს. გამოვკითხეთ ბილეთის მიუცემლობის მიზეზი, ამგვარი პასუხი მიიღეთ: „მართალია, ჩვენ უკანონობას ჩავდივართ, რომ ბილეთს არ ვაძლევთ შ—იას შვილს, მაგრამ ნება აქვს, სადაც უნდა გვიჩივლოს და პასუხს ვუგებთო". ამ გვარად საწყალ გლეხს საჩივლელად ჰგზავნის, დარწმუნებულია რა, რომ ის მას ვერსად ვერ უჩივლებს, ისე ჰყავს ცხოვრებას დამონავებული. ამ ამბავმა ძლიერ დაადონა მთელის ხიდისთავის მცხოვრებნი, მეტადრე იმიტომ, რომ ეს სამი-ოთხი თვეა, იმ გლეხს ცოლ-შვილი ავადა ჰყავს და თითონ უვლიდა, მაგრამ ეხლა დარდისაგან თითონაც ავად გახდა და იმისსოჯახში წყალის დამსხმელი არავინაა, თუ მეზობლებმა არ მიხედეს. ეხლა განზრახვა აქვთ ხელის-მოწერა გამართონ ხიდისთავში და იმ ფულით შემწეობა აღმოუჩინონ დაცემულს ოჯახს.

ვ. ჭალელი

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ბურების მიერ დაცლილ ადგილას, უპოვნიათ პრეზიდენტ კრიუგერის ცირკულიარი 5 იანვრის თარიღით, რომელშიაც აი რა სწერია თურმე:

„მთავარ სარდალი სჩივის, რომ ზოგიერთ ოლქიდგან ბურების მხოლოდ ერთი ნაწილი გამოსულა საბრძოლველად, დანარჩენები კი თავიანთ სახლებში დარჩენილან მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩვენგანი დიდს გასაჭირში იმყოფება. მტერი არ დააყოვნებს ყოველგვარი ღონისძიება იხმაროს მდინარე ტუგელზე გამოსასვლელად, რათა ლედისმიტი გაანთავისუფლოს, და ეს თუ მოხდა, ჩვენ განსაცდელი მოგველის. მე, რასა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი არ დაგვტოვებს ჩვენ, მაგრამ ეს არ გვიშლის, თითოეულმა ჩვენგანმა თავისი მოვალეობა შეასრულოს. ბურები უნდა გამსჭვალული იყვნენ იმ რწმენით, რომ ჩვენ ვიბრძვით ჩვენის დამოუკიდებლობისა, ჩვენის ეროვნების არსებობისა და ჩვენის შთამომავლობისათვის. ამ ომში ან უნდა დავიხოცოთ ყველანი, ან უნდა გავიმარჯვოთ, ამიტომ არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა დაზოგოს თავი და ყველაფერი უნდა მოითმინოს. მე და აღმასრულებელი საბჭო წინადადებას ვაძლევთ ყველა ბურს, იარაღს მოჰკიდონ ხელი და ლედისმიტისაკენ წავიდნენ. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. ჩვენ თუ მოვიმოქმედებთ, ყოველივე იმას, რაც საჭიროა მტრის დასამარცხებლად, დარწმუნებული ვარ, იმედი უნდა გვქონდეს ისეთი სამშვიდობო ხელშეკრულებისა, რომლის ძალითაც შევიძენთ იმას, რაც ჩვენთვის ძვირფასია. ხოლო თუ დროს დავკარგავთ და ჩვენს მოვალეობას არ შევასრულებთ, შეიძლება ცუდი დღე დაგვადგეს. ვიყვნეთ, ძმებო, ფხიზელი, და ყველამ შეასრულოს თავისი მოვალეობა. მაშინ ღმერთი დაგვლოცავს ჩვენ".

— ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ ბურებმა ერთი თვალსაჩინო სარდალი— ფერეირა მოჰკლეს, რომელმაც თავისს სამშობლოს უღალატა, და იმის წყალობით განთავისუფლდა რობერტსმა კიმბერლეი და ორანჟის რესპუბლიკისაკენ გზა გაიკაფა. ეს ამბავი რამდენიმედ მართლდება. აი რას აუწყებენ ბრიუსელიდგან გაზეთებს:

„ტრანსვაალის დესპანმა ლეიდსმა განაცხადა, რომ არ შემიძლიან ჩემი აზრი გამოვსთქვა ფერეირას ღალატის შესახებო. ამ ქვეყნიერად ყველაფერი შეიძლება. ფერეირების გვარეულობას ბევრი წარმომადგენელი ჰყავს ტრანსვაალში. სარდალი ფერეირა, რომლის შესახებაც ლაპარაკია, ტრანსვაალის მხნე მეომარია, რომელიც ადგილობრივ შთამომავლობის ხალხთა წინააღმდეგ იბრძოდა ხან ტრანსვაალისა და ხან ინგლისის სასარგებლოდ. კარგის სამსახურისათვის ინგლისმა დააჯილდოვა ფერეირა უმაღლესი ორდენით და შტაბ ოფიცრის ხარისხით. ფერეირა ცხენოსან ჯარის უფროსად იყო დანიშნული. ამ საუკეთესო ჯარს თავისის სიმამაცით საერთო სიყვარული აქვს მოპოვებული. ფერეირამ თუ მართლა უღალატა სამშობლოს, ეს მოვლენა ძლიერ გააოცებს და დაადონებს ბურებს. მაგრამ შესაძლებელია, რომ იქნებ სხვა რომელიმე ფერეირამ ჩაიდინა ღალატი. ყოველ შემთხვევაში, ეს ხმები თუ გამართლდა, ფელდმარშალ რობერტსის სახელს, მგონებ, არაფერი შეემატოს ამითიო".

დამაკვირდი

ჭეშმარიტად დიდის კაცის სიტყვა მტკიცეა, გზა გადაუხრელი, მიზანი დაუცდენელი, აზრი ნათელი, სიტყვა მოჭრილ-მოკვეთილი, ქცევა საამო, გამომეტყველება ალერსიანი და სასურველი.

ლასურიძე

* * *

შეგიყვარდა თვალები, ცხვირი, ტანის მოყვანილობა ქალისა. ცოტა დრო გეყოფა, რომ ამას თვალი მიაჩვიო. შეიყვარე მისი ჭკუა და გულის თვისებანი, რომ დიდხანს სტკბებოდე ბედნიერებით.

ს. ყ—ნი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც გაზეთი „Post"-ი გადმოგვცემს: ჟენევის საავადმყოფოს მისაღებ და სასადილო ოთახების და აგრეთვე თვრამეტის სხვა ოთახის კედლებზედ შპალერის ნაცვლად გაკრულია საფოსტო მარკები. შეხვდებით იქ თითქმის ყველა სახელმწიფოს მარკას. ამ საქმეს სულ მოსდომნია 20 მილიონ მარკაზედ მეტი.

* * *

ლონდონის სასწავლებელთა კომისიაში ეხლა ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სკოლებში მზარეულობაც ასწავლონ. ზოგიერთ სკოლაში წინადაც ასწავლიდნენ მზარეულობას და ბევრ მოწაფისთვის სარგებლობაც მოუტანია: რამდენიმე მოსწავლე სწავლის გათავების შემდეგ გემზედ შესულა მზარეულად. ამას გარდა მოსწავლენი დიდის ხალისითა და გულმოდგინეობით სწავლობენ თურმე მზარეულობას.

* * *

ამერიკაში ამ ჟამად ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ცნობილ მილიონერის კარნეჯისა და იმის უმთავრეს რწმუნებულის, ანუ ჩვენებურად, მოურავის, ფრიკის შესახებ. ფრიკი 25 მილიონ მანეთს ედავება კარნეჯის. ეს საქმე ამ ცოტა ხანში გაირჩევა ამერიკის ერთ-ერთ სასამართლოში. ფრიკი დიდი ხანია, რაც კარნეჯის უმთავრესი მოურავეა. ამ ჟამად ფრიკიც მილიონერია, იგი საშინლად ეჯავრებათ და სძულთ მუშებს; თავისის სისასტიკით ბევრჯელ აადელვა მან მუშები. ანარქისტებმა რამდენჯერმე იმის მოკვლაც-კი განიზრახეს. ამ ბოლოს დროს არნეჯისა და ფრიკს ხშირად მოსდიოდათ ლაპარაკი; ამისი მიზეზი, როგორც ამბობენ, ის არის, რომ კარნეჯი ეხლა ისე სასტიკად აღარ ექცევა მუშებს, როგორც წინად ექცეოდა და ფრიკისაგანაც ამასვე თხოულობს. კარნეჯი აუარებელ მილიონერებსა ჰხარჯავს წიგნთ-საცავების, საავადმყოფოების, სკოლების, უნივერსიტეტების დასაარსებლად. ფრიკი-კი ხშირად უხირდება და წინააღმდეგობას უწევს. საზოგადოება უფრო იმიტომ მოელის ამ მილიონერების საქმის განხილვას, რომ გამოირკვევა ყოველივე წვლილი ერთის მეტად მდიდარის წარმოებისა. დღემდის ამ წარმოების საქმეებს საიდუმლოდ ინახავდნენ. ამ წარმოებიდგან მარტო კარნეჯის რამდენიმე მილიონი მანეთი აქვს წმინდა შემოსავალი.

* * *

ერთის გაზეთის თანამშრომელს ამას წინად ლაპარაკი ჰქონია პროფესორს ნანსენთან. ნანსენს უთქვამს კორესპონდენტისათვის, რომ ამ ზაფხულს კიდევ ვაპირებ ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გამგზავრებასაო. ექსპედიციის საგანი—გიდროლოგიური გამოკვლევაა. ნანსენის ეს მგზავრობა დიდ ხანს არ გაგრძელდება. ნანსენი ორის გემით გაუდგება გზას. ერთი უწინდელი გემი „ფრამი" იქმნება, მეორესაც ეხლა აკეთებენ. თან ნანსენს 20 კაცი ეყოლება. ნანსენი ჩრდილოეთისაკენ 15 მაისს აპირებს წასვლას და შემოდგომაზედ უკანვე დაბრუნებას. შემდეგ კორესპონდენტს ანდრეს შესახებ ჩამოუგდია ლაპარაკი. „საწყალი ანდრე!—უთქვამს ნანსენს,—მე უკანასკნელ დრომდე იმედი მქონდა, რომ ანდრე ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ ეხლა ყოველივე იმედი დავკარგე. ანდრე და იმისი თანამგზავრნი ცოცხლები რომ იყვნენ, უეჭველად აქამდის რამე ამბავი უნდა მოსულიყო იმათგან. უთუოდ სადმე დაიღუპნენ ეს მამაცი მგზავრებიო".

* * *

ამერიკელ გაზეთების სიტყვით, ქონდრის ხალხი ამერიკაშიაც ყოფილა. ეს ხალხი მდინარე ამაზონის სათავეში უნახავთ, ერთ მივარდნილ და მიყრუებულ ადგილში. ამ ხალხის მამაკაცნი სიმაღლით 4 ფუტი და 8 დიუმი ძლივს არიან თურმე, დედაკაცი უფრო პატარაა. მეტად უშნო შესახედაობისანი არიან. ამბობენ, რომ ამ ადგილებში, ბრაზილიისა და ვენეცუელის შუა, სხვა ამაზედ უფრო პატარა ხალხი სცხოვრობსო. ჯერ ისევ ამ რამდენისამე წლის წინად ალექსანდრე ფონ-ჰუმბოლტს სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს გაუგონია, მდინარე ორინოკის სათავეში მეტად პატარა ხალხი სცხოვრობსო. თვით ჰუმბოლტი არა ყოფილა იქ და ამას, როგორც გაგონილ ამბავს, ისე გადმოგვცემს.

* * *

ერთ ამერიკელ კაპიტალისტს განუზრახავს აშენოს ნიუ-იორკში უზარმაზარი, 200 სართულიანი სახლი. სახლი იმდენად დიდი იქმნება, რომ შიგ 400,000 კაცი, ე. ი. მთელი დიდი ქალაქი, მოთავსდება. ადგილი ამ მომავალ ბაბილონის გოდოლისთვის უკვე აურჩევიათ. თითო სართულს $4^{1}/_{2}$ მეტრი სიმაღლე ექნება; მთელი სახლისა-კი სიმაღლით 900 მეტრი ან 420 საჟენი იქმნება. კედლები სახლს ფოლადისა ექნება, მეტად სქელი და მკვიდრი. პროექტით ამ სახლში ყველაფერი იქმნება მოთავსებული: მაღაზიები, წიგნთ-საცავები, რესტორანები, აფთექები, კლინიკები, თეატრები, კლუბები და სხვა. კიბეების მაგიერ გამართული იქმნება 50 ელექტრონის ელევატორი.

პასუხი ბ-ნ დ. ლორთქიფანიძეს *)

ბ-ნი დ. ლორთქიფანიძე ძლიერ განრისხებულა ჩემი წერილის გამო, თუმცა მე სრულიადაც არ შევხებივარ მის პირად ღირსებებს. მე არც ბ-ნ კალისტრატე ჩიქვაძეს ვიცნობ, არც ბ-ნ დავით ლორთქიფანიძეს და არც არავითარი უფლება და არც სურვილი არა მაქვს მათი კერძო ცხოვრება და ღირსება-ნაკლულევანებანი ვჩხრიკო-ვიძიო. რა ხელი მაქვს ან მე, ან ვისმე სხვას იმათთან, როგორც კერძო კაცებთან. შეიძლება კაცი კერძო ცხოვრებაში უვარგისი იყოს და საზოგადო მოღვაწეობაში კარგი. ჩვენში-კი ეს უბრალო ჭეშმარიტება დღემდის ვერ შეუგნიათ. აი ამ ცრუ შეხედულების წინააღმდეგ ვწერდი მე იმ წერილში. თქვენ-კი, ბ-ნო დ. ლორთქიფანიძევ, ეს აზრი უცნაური რამ გგონიათ. საკვირველია და თან სამწუხარო!

2, მე არ მითქვამს, ვითომც კანდიდატის ღირსებას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს. არც ის მითქვამს, ვითომც კანდიდატს თვითარსებობა და თავისი საკუთარი „მე" დაკარგული აქვს-თქო. მე იმ აზრისა ვიყავი და ვარ მხოლოდ, რომ კანდიდატი ვერ გადუვა თავისის ამომრჩევლების ნებას უმთავრეს პრინციპებში. ძვირად მეგულება ისეთი კანდიდატი, რომ თავისის ამომრჩევლების ღალატი ჰქონდეს გულში. ქვეყანაზედ, ცხადია, ყოველისფერი შესაძლებელია, მაგრამ საზოგადოდ ყველგან ასეა მიღებული, რომ ამორჩეული არ უნდა იყოს პრინციპიალური წინააღმდეგი ამომრჩევლებისა. ესეც უცნაური აზრია თქვენს თვალში, ბ-ნო დ. ლორთქიფანიძევ?

3. ჩემთვის სულ ერთია, რითი ხელმძღვანელობდა ოპოზიცია, როცა თქვენი კანდიდატურა წარმოადგინა; ალბად ოპოზიცია დარწმუნებული იყო, რომ თქვენ შეიძლებდით თქვენის მოვალეობის რიგიანად ასრულებას. მაგრამ ჩვენ, ვინც არც ოპოზიციას ვიცნობთ და არც თქვენ, ხომ მოვალე არ ვიყავით, იმავე აზრისა ვყოფილიყავით თქვენ შესახებ, რა აზრისაც ოპოზიციაა. ვინ იცის, იქნება ოპოზიცია შემცდარიც იყოს მაგრამ ჩვენ მოგვეცით ნება ჩვენი აზრი ვიქონიოთ ბ-ნ კალისტრატე ჩიქვაძის შესახებ. მას ჩვენ კაი ხანია ვიცნობთ, როგორც საზოგადო მოღვაწეს, და დარწმუნებულიცა ვართ, რომ იმაზედ უარესი ბანკირი შეუძლებელია და არავითარი დანაშაულობა არ იქნება, რომ, რაც უნდა უვარგისი კანდიდატი გამოიყვანოს ოპოზიციამ, ის გაჯობინოთ ბ-ნ კალისტრატე ჩიქვაძეს.

დავშთები თქვენი უმორჩილესი

ვ. წ.

შემოწირულება

ახალქალაქის მაზრაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო 25 მან. 69 კაპ. ცაგერსა და ლაილაშში შეგროვილი ქ-ნ მელანია ჯინორიძის მიერ.

სია შემომწირველთა:

ზ. ყიფიანმა 2 მ., მ. ჯინორიძისამ 2 მ., მღ. ა. გერსამიამ 1 მან. 50 კ, ბლაღოჩინ მღ. ზაქარია მჭედლიძემ 1 მ., მ. მღვდლიევმა 1 მ., ნ. მღვდლიევისამ 1 მ., თ-დ ლ. დადეშქელიანმა 1 მ., კ. ქორქოლაძემ 1 მ., დ. ლორთქიფანიძემ 1 მ., კნეინა ფეოდოსია გუგუნავასამ 1 მ., კაკო ლოღელიანმა 1 მ., ა. პალჩიკოვსკიმ 1 მ., მ. ასათიანმა 50 კ., ალექსი მდივანმა 50 კ., იასონ ახვლედიანმა 50 კ., ი. იაკუბოვსკიმ 50 კ. ინდიკო გელოვანმა 50 კ., არსენ მჟავანაძემ 50 კ., თ. რაჟდენ ნიჟარაძემ 50 კ., თეო გერსამიამ 50 კ., ალ. ცხადაძემ 50 კაპ., ვინმე მღვდელმა 50 კაპ., № 50 კაპ., დ. ნაზაროვმა 50 კ., ანნამ 50 კ., ი. მასხარაშვილმა 50 კ., ვახტანგ ჩიჩუამ 50 კ., ეფემია ერისთავის ასულმა 50 კ., ა. ბაქრაძემ 50 კ., ილარიონ ჯანელიძემ 50 კ., დარისპან მამარდაშვილმა 30 კ., ვახტანგ კუპრაშვილმა 30 კ., ვ. ახვლედიანმა 20 კ., თამარა კუპრაშვილმა 20 კ., მიხაკა ტინტილოზოვმა 20 კ., ქორჯი თურქიამ 20 კ., გ. ახვლედიანმა 15 კ., პეტრე ასათიანმა 10 კ., გრიგოლ ალხაზოვმა 10 კ., ალექსანდრე ჩიქოვანმა 9 კ., როფოზ ჩიქოვანმა 5 კ., გრიგოლა დალაქმა 5 კ., ბიჭია ადამიამ 5 კ., წყალობა ბაინდუროვმა 5 კ., დავით ჯანოევმა 5 კ., ალექსანდრე კაჭკაჭოვმა 5 კ., ბატო კაჭკაჭოვმა 5 კ. სულ 25 მან. 69 კ., ამ ფულისა გვქონდა 597 მან. 66 კაპ., ამითი შესდგა 623 მან. 35 კაპ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მარტი

პარიჟი. ხანგრძლივ კამათის შემდეგ, 473 ხმით 46-ის წინააღმდეგ პალატამ შეიწყნარა რუვიეს წინადადება, რომ სამი დღის შემდეგ, ბიუჯეტის შესახებ პალატაში საზოგადო მოხსენების წარდგენის დღიდგან, დეპუტატებს ნება არა ჰქონდეთ თავიანთი მოხსენება წარადგინონ ბიუჯეტის გასწორების შესახებაო.

ლონდონი. რობერტსმა დეპეშით აცნობა სამხედრო სამინისტროს, რომ პოლკერსი მივიდა სპრინფონტენში, ასე რომ ბლუმფონტენი ეხლა დაკავშირებულია კაპშტატთან რკინის გზით. პროკლამაციამ კარგად იმოქმედა. რამდენიმე ასმა ბურმა სურვილი განაცხადა იარაღი დაჰყარონ და თავიანთ ჩვეულებრივ საქმეს დაუბრუნდნენ. ბაზუტოლანდის კომისიის თავმჯდომარე გვატყობინებს, რომ ბლუმფონტენიდგან 800 ბური მოვიდა ამას წინად აქაო. მეორე რაზმი, რომელსაც გენერალი ნორტი უფროსობს, პირობების შეტყობას უცდის, რათა დაგვნებდეს, და უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო თათბირში, რომელიც კრონშტადში მოხდა, სადაც შტეინი იწვევდაო.

პარიჟი. დელკასეს სიტყვამ იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია დიდმა სახელმწიფოებმა შუაკაცობა იკისრონ ინგლის-ტრანსვაალის ომში, აქაურ სადიპლომატო წრეებში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან უცხო ქვეყნის გაზეთები ხმებს ავრცელებდნენ, ვითომც პეტერბურგისა და პარიჟის კაბინეტთა შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს. მინისტრმა დელკასემ ბოლო მოუღო ლეგენდას შემდეგის სიტყვებით: „ტყუილია, რომ სამხრეთ აფრიკის ომისა ანუ სხვა რაიმე საგნის გამო ცოტაოდენი უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს საფრანგეთსა და რუსეთს შორის, რომელთა თანხმობა, ყოველ დღე უფრო მჭიდრო ხასიათს ღებულობს-რა, თავისის გზით

---

*) იხ. „ივერია" № 41.

მიდის შეუფერხებლად და არავითარი ცილისწამებისა და მტრების იქვიანობისა არ ეშინიან“. ამ სიტყვებს დიდის აღტაცებით მიეგება სენატი და გაზეთები.

4 მარტი

პეტერბურგი. 3 მარტს საფრანგეთის ელჩს სავანგერო სადილი ჰქონდა, რომელსაც დაესწრნენ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი.

პრეტორია. გერმანიის მთავრობამ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებს იმ თხოვნის გამო, რომ მეგობრული შუამდგომლობა გაეწიეთ მშვიდობიანობის აღსადგენადაო, ასეთი პასუხი შეუთვალა: „გერმანიის იმპერატორის მთავრობა სიამოვნებით იკისრებს მეგობრულს შუამდგომლობას მაშინ, როდესაც ამისათვის საჭირო მთავარი პირობანი ხელს შეუწყობს, ესე იგი, როდესაც შემოწმებული იქმნება, რომ ორივე მოწინააღმდეგე ამას არის მოწადინებული. აქვს თუ არა ამისი სურვილი ინგლისს, ამისი შეტყობა სამხრეთ-აფრიკის ორსავე მთავრობას შეუძლიანთ ან პირ-დაპირ ლონდონში, ან იმ მესამე მთავრობის შემწეობით, რომელსაც სამხრეთ-აფრიკაში არავითარი ინტერესი არა აქვს და რომლისთანაც ევროპისა და ევროპის გარეშე მრავალი სახელმწიფოა, ხოლო გერმანია-კი ასეთად არ ჩაითვლება. ყოველივე ასეთი მეცადინეობა გერმანიის მთავრობისა ეჭვს დაჰბადებს, რომ ვითომ ჩვენ რაღასაც სხვას ვიყოთ მოწადინებული, და ასეთი ეჭვი, რასაკვირველია, ხელს არ შეუწყობს მშვიდობიანობის აღდგენის საქმეს. სამხრეთ-აფრიკის მთავრობათა ის სურვილი, რომ იმათი თხოვნა შუამავლობის შესახებ გადაგვეცა აგრეთვე ავსტრია-უნგრეთისა და შვეიცარიის მთავრობათათვის რომელთა ინტერესს პრეტორიაში გერმანიის საელჩო იცავს, რაღა თქმა უნდა დაუყოვნებლივ იქმნა შესრულებულიო“.

ბლუმფონტეინი. რობერტსის პროკლამაციის გამო დამორჩილდა 400 ბური ორანჟის რესპუბლიკისა. გუბერნატორმა პრეტიმერმა პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც წინადადებას აძლევს ფერმერებს, გამოიტანონ ბაზარში თავისი ნაწარმოები გასასყიდად სამხედრო უწყებისათვის. ორანჟელ ბურების უმეტესი ნაწილი თავიანთ სადგომებში დაბრუნდა.

ცხენოსანი მოდარაჯე რაზმი ჩრდილოეთით მდინარე მოდდერამდე მივიდა, მაგრამ ვერსად შეხვდა მტრის ჯარს.

აეტულიე. კრიუგერმა გამოაცხადა, რომ ორანჟის რესპუბლიკა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკას ეკუთვნისო.

5 მარტი.

პეტერბურგი. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, გენერალ-მაიორი, უფროსი პრეობრაჟენსკის რაზმისა, დანიშნულ იქმნა სამხედრო სასწავლებლების მთავარ უფროსად.

ლონდონი. ლაბატსიდგან იუწყებიან 12 მარტს, რომ ნეფკინგის ჩრდილოეთით აღდგენილია რკინის გზა და ტელეგრაფი პიტასანამდე, ბურებმა სეკუანთან მყოფი ბანაკი დასცალეს და რუსტენბურგისაკენ წავიდნენ. უეჭველია ძალიან ჩქარა იქმნება განთავისუფლებული მეფკინგი ალყისაგან.

ბეტულიე. გატეკრას მზვერავი რაზმი, უკვე შევიდა სარინგფონტეინში. დანარჩენი ჯარი ამ გენერლისა რაზმს მოსდევს.

ლედი-სმიტი. დიდ-ძალი მტერი შენიშნეს ვაპრეენსა, ტინტასა და დებერის გასავალში. ბრძოლა მოხდა რომლის დროსაც ორი ინგლისელი დაიჭრა.

მანსილი. სამასი ბური ჩრდილოეთ ორანჟილი. როგორც ხმა დადის, თავ-თავისს სახლ-კარს დაჰბრუნებია.

* * *

წერილი რედაქციის მიმართ.

ულრმესს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს ედუარდ ზაქარიასძეს სააკაშვილს, რომელმაც ქ. ქუთაისში შეჰკრიბა ზესტაფონის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ 47 მან. 20 კაპ. ამასთანავე უგულითადესს მადლობას ვწირავთ ყველას, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი, სია შემომწირველთა:

სტეფანე ფეიქაროვმა 3 მან; ორ-ორი მანეთი—მარიამ ფეიქაროვისამ, ედუარდ სააკაშვილმა, პეტრე გოკიელოვმა, ვინმე რაჭველმა, მიხეილ საყვარელიძემ, ალექსი დეისაძემ, სიმონ თედორაძემ; თითო მანეთი—ვინმე მეგრელმა, დიმიტრი ბახტაძემ, პავლე გვარამიამ, აქსენტი ბერუჩაშვილმა, იოსებ ბაქრაძემ, კაცია ადანიამ, გრიგორ მეგრელიშვილმა, გრიგოლ ნეფარიძემ, ივანე გოცაძემ, ივანე ხაინდრავამ, პეტრე გორელმა, დარისპან ლამბაშიძემ, იოსებ ხარაზოვმა, ძმ. ოცხელებმა, თადეოზ ბალანჩივაძემ, იოსებ ლეკიშვილმა, სტეფანე შაინოვმა, იაკობ ფილიპოვმა, მიხეილ ხუჭულავამ, მიტროფანე ლადიძემ, ალექსანდრე კოსტავამ, ნესტორ დ ელიზბარმა, გიორგი გორდაძემ, ფ. ეხსანოვმა, პ. ფალაშაშვილმა; ათ-ათი შაური—ილიკო ბეჟანეიშვილმა, ი. ლორთქიფანიძემ, იუსტინე მაჭავარიანმა, ჭანტურიშვილმა, №№, ფ. გაბუნიამ, ივანე ცხაკაიამ, გიორგი ცინცაძემ, პეტრე ერიქოვმა; თადეოს ციკორიძემ—30 კაპ., ივლიანე ყანჩაველმა—40 კაპ., სულ 47 მან. 20 კაპ.

ზესტაფონის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგე წევრნი:
სამსონ ელიაშვილი,
ვანო არდიშვილი,
ილია მაღლაკელიძე

ულრმესს მადლობას ვუცხადებთ „ივერიის“, „მოამბის“, „კრებულისა“, „მწყემსისა“, „ცნობის-ფურცლისა“, „Кавказъ“-ისა, „Новое Обозрѣніе“-სა და „კვალის“ რედაქციებს, რომლებიც წასრულ წლის განმავლობაში უსასყიდლოთ გვაწვდიდენ თავიანთ გამოცემებს.

ყაზანის ქართველ სტუდენტების მონდობილობით ს.—გორგაძე.

შარშანწინ გამართულმა გორის მაზრის სოფ. ხოვლეში შობის ხემ დაგვარწმუნა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია მას ბავშვთა აღზრდისა და მათის მშობლების წახალისებისათვის. ამიტომ წრეულსაც მოვიწადინეთ სოფელ ხოვლის სკოლის ბავშვებისათვის გაგვემართა შობის ხე დ გავმართეთ კიდეც. 13 იანვარს, საღამოს, სასწავლებელს მოაწყდა დედ მამა ბავშვებისა და აქაური ინტელიგენცია.

ბავშვებმა, რომელთა რიცხვი 80-დეა, და ხალხმა 9 საათამდის იმხიარულა. შობის ხის სანთლები რომ ჩაიწვა, ბავშვებს დაურიგდათ სათამაშოები და ტკბილეულობა. 14 იანვარს, დილით, სკოლის ყველა ბავშვებს მიეცათ: ვაჟებს სახალათე ჩითი და ქალებს—საზედატანე.

ბავშვების სიხარულსა და მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, რომ სკოლაში სუფთად ჩაცმულები ვივლითო.

დიდს მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც ამ საქმეში ხელი გაგვიმართა.

სია შემომწირველთა:

ნატალია დავითის ასულმა მამაცაშვილისამ 3 მ. გიგი იოსების-ძემ ჯავახიშვილმა 3 მ., ვარვარა სიმონის-ასულმა სიმონოვიჩისამ 3 მ, ვასილ ივანეს ძემ ხახიშვილმა 2 მ., X—J 2 მ., დიმიტრი ივანესძემ მუსხელიშვილმა 1 მ. 50 კაპ. მარიამ დავითის ასულმა ჯავახიშვილისამ 1 მ., მარიამ იოსების ასული ჯავახიშვილისამ 1 მ., ქეთევან გიორგის ასულმა ჯავახიშვილისამ 1 მ., ნინო მაჭავარიანისამ 1 მ., მარიამ მაჭავარიანისამ 1 მ., ესტატე ნიკოლოზისძემ ჯავახიშვილმა 1 მ., გრიგოლ ალექსანდრესძემ ჯავახიშვილმა 1 მ-, დავით ქაიხოსროსძემ ჯავახიშვილმა 1 მ., ივანე გრიგორის-ძემ ჯავახიშვილმა 1 მ., ალექსანდრე ილიას-ძემ ჯავახიშვილმა 1 მ., ნიკოლოზ დიმიტრის-ძემ ჯავახიშვილმა 1 მ., შაქრო ჯავახიშვილმა 1 მ., ელისაბედ იოსების ასულმა საგინაშვილისამ 50 კ., ევა ხახიშვილისამ 50 კ., თამარა ილიას ასულმა ჯავახიშვილისამ 20 კ.,ნატალია ილიას ასულმა ჯავახიშვილისამ 20 კ და სათამაშოები; ირაკლი გულისაშვილმა (შეგირდი გორის სასულიერო სასწავლებლისა) 20 კ., რაზმაძემ (შეგირდი) 15 კ. პეტრიაშვილმა (სემინარისტი) 15 კ., ალექსანდრე გლურჯიძემ 10 კ., გურგენიძემ 10 კ., ბანჯაკაძემ 10კ.,ბაბალე სუმბათაშვილისამ ხალათები მაუდისა, შარვლები მაუდისა და ერთი პატარა კაბა, ნინო გლურჯიძისამ სათამაშოები,ნინო წერეთლისამ სათამაშოები, ელენე წერეთლისამ ორი გირვანქა კამფეტი. დიდს მადლობას ვუძღვნით ეკატერინე გრიგორის ასულს კავსაძისას,რომელმაც არ დაიზარა და ბავშვებს სახალათეები და საზედატნეები გამოუჭრა.

შესდგა ფულად 28 მ. 70 კ.

სოფელ ხოვლის სკოლის მასწავლებელი შაქრო ჯავახიშვილი.

* * *

„ივერიის“ ფოსტა

დ. ხ—ი შენგელიას. არ დაიბეჭდება.

ს. ხ—ე შ. ჯ—შვილს. არ დაიბეჭდება.

რაჭა, პ. ჭ—ძეს. თქვენს წერილში ახალი არა არის რა.

მეამბოხეს. უცნობ ავტორთა წერილებს რედაქცია არა ჰბეჭდავს.

ბ. ს—ი. ტ. ქ—შვილს. შეუმოკლებლად არ შეგვიძლიან დაბეჭდვა და ამიტომ სულ არა ვბეჭდავთ.

სოფლელს. არ დაიბეჭდება.

ს. დი—ვი. ა. ოძისას. არ დაიბეჭდება.

დ. ზ—ნი ერთს წევრთაგანს. გვაკმარეთ, ბატონებო, თქვენს წიგნთ-საცავის შესახებ ლაპარაკი.

დ. ლან—თი. ს. აძაურს. ზნე-დაცემულის ქალის ამბავი პოლიციას შეატყობინეთ და იგი ალაგმავს.

ქ. ფ—თი. ფოთელს. (ა. ს.) კარგს გუნებაზედ ყოფილხართ, რომ ლექსის წერისათვის მიგიყვიათ ხელი. უეჭველია, მოცლილიც იქნებოდით. ნეტავი თქვენ!..

ქ. ძ—ხი. გ მ—ს. ვიდრე მოსწავლე ხართ, ისწავლეთ, ეს უკეთესია ლექსის წერაზედ.

დ. ა—რი. პ. ლ—ძეს. თქვენი წერილები არ დაიბეჭდება.

ტ. ი—ძეს. არ დაიბეჭდება.

სოფ. თ—ლი. ი. ბ—შვილს. არ დაიბეჭდება.

სოფ. ც—სი. გ. მ—ს. ნეტა არ გეპოვნათ...

სოფ. ყულ—რი. ლ. მ—ძეს. არ დაიბეჭდება.

ვ. გარეჯელს. არ დაიბეჭდება.

დუ—ელს. ვ—ოს. „საქიოდამ დაბრუნებული“ და „პასუხი“ არ დაიბეჭდება

ქ. თ—ვი. ქ. ზ—შვილს. არ დაიბეჭდება.

ტყი—ლი. ი. ი. ჭ—ძეს. ნაძლევის შესახებ წერილების ბეჭდვას კანონი გვიკრძალავს.

მ. ბ—ძეს. „ევროპის მიწის საკუთრების ისტორია“ არ დაიბეჭდება.

ქ. ო—თი. ს. წ—ლს. არ დაიბეჭდება.

კ. ზ—შვილს. ლექსი არ დაიბეჭდება.

ვ. რ—ძეს. არ დაიბეჭდება.

დ. ზ—ნი. ერთ მეგობართაგანს, იგ ამბავი უკვე გვქონდა დაბეჭდილი.

ყვირილელს. „ნაწყვეტი“ არ დაიბეჭდება.

ქ—სი. ვ. გ—ძეს. საგაზეთოდ ვერაფერი ამბავია, თუმცა სამწუხარო-კია, რასაკვირველია.

იგივეს. საბუთებია საჭირო, თუ ვინიცობაა სასამართლომდე მივიდა საქმე.

პ—რ. უ—შვილს. „ნაკადული“ არ დაიბეჭდება.

ა. გორელს. არ დაიბეჭდება.

ქ. გ—რი. ნ. ქ—შვილს. არ დაიბეჭდება.

სოფ. დ—ვია. ა. ოქ—ძისას. სოფლის გეოგრაფიული აღწერა ვისთვის რა საყურადღეოა?!

სადგ. ჩერვლიონი. ვიქტორ მიქელაძეს. გაზეთი შეუჩერებლად იგზავნება. წიგნებისათვის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მიჰმართეთ. სასტამბო საქმეს რედაქცია არა კისრულობს.

* * *

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

11 მარტი.

საქმე სალდა მარგანიასი, რომელსაც ქურდობის ბრალი ედება.

საქმე ბარუჩა შელიასი დ პავლე ფიჩხაისი, რომელთაც ავაზაკობის ჩადენის ბრალი ედებათ.

საქმე დიტო ბაჩილავასი და ძიკი ბაბილუასი, რომელთაც ავაზაკობის ჩადენის ბრალი ედებათ.

16 მარტი.

საქმე ბრალდებულის ფოთის პოლიცმეისტერად ნამყოფისა მაქსიმე ვოლობუევისა, ინჟენერის ევგენი მეიერისა და სხ., რომელთაც სასჯ. დებ. მე-942 და 236 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

18 მარტი.

საქმე გიორგი თომაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

საქმე მიხეილ მეფისაშვილისა, ტუფანრაჯაბ-ოღლისა და სხ., რომელთაც ივანე მეფისოვის მოკვლა ჰბრალდებათ.

24 მარტი.

საქმე ალექსანდრე ჩხენკელისა და ნესტორ გაბუნიასი, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-1655 მუხ. მე-2 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

საქმე ივანე არველაძისა, რომელსაც კაცის მოკლა ჰბრალდება.

საქმე გიორგი მათუასი, კიმოთე შენგელიასი, დათა ლიპარტიასი და სხვ., რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

საქმე კიტა გერგაიასი, ეგნატე ცხადაიასი და ივანე სალაყაიასი, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

საქმე პართენ კალანდიასი და ფილუ კვარაცხელიასი, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

პირველი სამოქალაქო დეპარტამენტი

(გადმოტანილია სააპელაციო საჩივრით ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან)

9 მარტი

დავა ივანე და სხ. მანჯგალაძეთა, ანტონ და პავლე ივანეს ძეთა მანჯგალაძეთა, წინააღმდეგ მიწის შესახებ.

დავა ქუთაისის საგუბერნიო მართველობის რწმუნებულისა ხუნჯუას წინააღმდეგ მიწისა და ზარალის შესახებ.

დავა ელისაბედ ჭანტურიასი და ივანე ბოკუჩავასი, ვითარცა დიმიტრი ბოკუჩავას ობლების მზრუნველის მიწის შესახებ.

დავა პეტრე ივანეს ძის ცულაიასი ბესარიონ ჩორგოლაშვილის წინააღმდეგ მამულის შესახებ.

დავა გედევან ბახტაძისა, სარდიონ ქუთათელაძისა და გერასიმე სანაძეს წინააღმდეგ ანგარიშის წარდგენის შესახებ.

განაჩენნი

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტისა

26 თებერვალი

პალატამ იმ დავის შესახებ, რომელიც ატეხილი იყო აგარაკ შორაპნის მაზრის დიდველ-თერჯოლას გამიჯვნის გამო, ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება დაამტკიცა, ხოლო ზუგდიდის მაზრის სოფ. ხორგას გამიჯვნის შესახებ ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება გააუქმა.

პირველი სისხლის სამართლის დეპარტამენტი.

26—28 თებერვალი

ბრალდებული ილიკო წერეთელი (ქუთაისის ოლქის სას.) პალატამ უდანაშაულოდ იცნო და სამართლისაგან განათავისუფლა.

განცხადებანი

რადგანაც განვიზრახე მოვსპო სამეურნეო მანქანებით ვაჭრობა, აგრეთვე გავაუქმო მაღაზია, რომელიც მიხეილის პროსპექტზედ, №№ 79-ა და 79-ბ, საკუთარ სახლშია, ამიტომ გნიშნავ 6 მარტისათვის სალიკვიდაციო ვაჭრობას ყველა ნივთებისა. გაიყიდება შემდეგი ნივთები: წყლის ამოსაღები, სანიავებელი, ხორბლისა და ბამბის საწმენდი მანქანები, გუთნები, ღვინის საწურავები, სამკალი მანქანები, ტყავის ნაწარმოები, დანები, მაკრატლები, ლამფები და სხვა.

ყველა ნივთები ნაღდ ფულზედ გაიყიდება, საფქვავ და თვით-მოსიარულე ომნიბუსის გარდა, რომლების ფასიც შეიძლება მყიდველმა ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს.—მაღაზია, საწყობი და სარდაფი ქირით იძლევა.—აზრადა მაქვს შემდეგში მხოლოდ იჯარები ავიღო და მსურველთათვის მანქანები და სხვა და სხვა საქონელი გამოვიწერო. ჩემი კანტორა მოთავსებული იქმნება ჩემის სახლის ეზოში მიხეილის პროსპექტზედ.

გ. ა. კრაუზე.

(10—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 20 მარტს, შუადღის 12 საათზედ, იმის თანდასწრებით,

მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ოთხი დუქანი. ეს დუქნები ბაზრის ქუჩის ბოლოშია, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გაიგონ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე 9-დგან 2 საათამდე.

(3—6.—1)

წერა-კ. საზ. და სხ. მაღაზიებში ისყიდება ახალი წიგნი, შედგ. რუსულ ენაზე მ. ჯანაშვილის-მიერ

Царица Тамара

(თამარ მეფე)

შინაარსი: მოკლე განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა თამარ მეფის ეპოქამდე. ისტორია თამარ მეფისა. დამატება—პალეოგრაფიული ნიმუშები: ნიმუშები ქართულის წერისა მე-VII—XII საუკ.(სულ 20 №-რია):ხელმოწერილობა თამარ მეფისა, მისის მამის გიორგი III, ქმრის დავით მეფისა, შვილის გიორგი ლაშისა, კათალიკოზის თეოდორესი, ჭიაბერისა, შოთ.სი (რუსთაველი?), და სხ. წიგნის სათაურს ჩართულია თამარ მეფის სურათხატი. პალეოგრაფიული ნიმუშები დაბეჭდილია სქელს ქაღალდზე, და უამნიმუშებოთ წიგნი შეიცავს 128 გვ. და ღირს 50 კ.

იქვე ისყიდება იმავ ავტორის შედგ. წიგნები: Грузинскія обители внѣ Грузіи (ფ. 25 კ.), Исторія груз. церкви (ფ. 40 კ.) და ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე (ფ. 40 კ.).

(6—უ.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Марта 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე